ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

შპს გარეჯის კერძო სკოლა ,,ლამარიას“ დირექტორი

N 3/10 15.04.2026

/ლ.ქოქიაური/

შპს გარეჯის კერძო სკოლა „ლამარიას“

კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების მეთოდოლოგია

2026-2027

მუხლი1 შესავალი

დოკუმენტში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მასში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1.1. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;

1.2. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;

1.3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;

1.4. პროცესში ჩართული მხარეები;

1.5. ძირითადი პროცესები:

1.6. კავშირი სხვა პროცესებთან.

მუხლი 2. სასკოლო კურიკულუმის არსი

სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს ,,გზას", რომელსაც სთავაზობს მოსწავლეს საკუთრი შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად, სიღრმისეული სწავლისთვის და ჰოლისტური განვითარებისთვის. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფომაციას:

2.1. მისია, ხდვა, ღირებულებები, სკოლის კულტურა,

2.2. დაწყებითი, საბაზო და საუშალო საფეხურების მისია,

2.3. სასწავლო კურიკულუმის განხორციელების პრინციპები,

2.4. სასწავლო წლის კალენდარი,

2.5. სასწავლო დღის განრიგი და მისი შინაარსი,

2.6. სასწავლო წლის საათობრივი ბადე,

2.7. საგანმანათლებლო რესურსები,

2.8. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა,

2.9. ინკლუზიური განათლების პრინციპები.

2.10. კურიკულუმის განვითარების სტარტეგიები

2.11. კურიკულუმის შემუშავება და განვითარება

2.12. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი

2.13. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი

2.14. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი

მუხლი 3. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი

3.1. სასკოლო კურიკულუმის საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები. მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა.

3.2. სასკოლო კურიკულუმი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ და გრძელვადიან შედეგების მიღწევაზე დაფუძნებულ პრინციპებს.

3.3. სკოლის მისიაში განსაზღვრული უნარები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო კურიკულუმში მოცემულ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებთან და აღმზრდელობით-ღირებულებით ასპექტებთან.

3.4. კურიკულუმების აგების დროს გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნები.

3.5. კურიკულუმში მოცემული სწავლა-სწავლების მიდგომები და პრინციპები და ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებას და მოსწავლის ჰოლოსტურ განვითრებას.

3.6. სასკოლო კურიკულუმი ყოველ წელს გადაიხედება და განახლდება შეფასებისა და მონიტორინგის მასალებზე დაფუძნებით.

3.7. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში და განვითარებაშ მოანწილეობას იღებენ მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია.

3.8. სახელმძღვანელობის შეირჩევა მასწავლებლების მიერ და განიხილება საგნობრივ ჯგუფებში.

3.9. სკოლის მმართველობითი, ძირათადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტები ემსახურება სასკოლო სასწავლო კურიკულუმის ეფექტიან დანერგვას. დოკუმეტები აღწერილია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით.

3.10. სასკოლო კურიკულუმი არის მოქნილი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდება სკოლის აზოგადოების ჩართულობით, ქმნის სკოლის ერთობას, ხელს უწყობს

სკოლის საზოგადოების წევრების საქმიანობას და კოლაბორაციას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 4. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში განისაზღვრება შემდეგნაირად:

4.1. **მასწავლებელი** - სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი, საგაკვეთილო პროცესის წარმართვის გარდა:

ა) აღწერს და კოლეგებს უზიარებს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის განახლებას, რაც კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა;

ბ) კათედრის წევრებთან ერთად მონაწილეობს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში ითვალისწინებს კათედრისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

4.2. **კათედრის თავჯდომარე** - კათედრის თავმჯდომარე:

ა) კათედრის წევრებთან ათანხმებს, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ;

ბ) აგროვებს კათედრის წევრების მიერ მოწოდებულ მასალებს და ფასილიტაციას უწევს კათედრის სხდომებს (ადგენს დღის წესრიგს, გამოკვეთს პრობლემურ საკითხებს);

გ) უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად;

დ) დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას აწვდის შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის (მოსწავლეთა მიღწევები, მასწავლებელთა წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ;

ე) მონაწილეობს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და ასრულებს შუამავლის როლს სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

4.3. **სკოლის დირექცია** - კურიკულუმის დანერგვის პროცესში დირექციას ენიჭება წამყვანი როლი. მისი ფუნქციაა ხარისხის მართვის პროცესის ფასილიტაცია, კერძოდ:

ა) ხელს უწყობს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე;

ბ) აჯამებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

გ) უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების (საჭიროების შემთხვევაში — სხვა მასწავლებლების) მონაწილეობით, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხები და მუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად თუ ინოვაციების დასანერგად;

დ) მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში (მაგალითად, Japanese Lesson Study-ის რეჟიმში), უზრუნველყოფს მიღებული შედეგების დოკუმენტირებასა და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციას;

ე) ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას;

ვ) კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებასა და დასამტკიცებლად მომზადებას;

ზ) უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე;

თ) ფასილიტაციას უწევს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განვითარებას;

ი) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და კურიკულუმის განვითარების შესახებ (წინასწარ შეთანხმებული ფორმით);

კ) მონაწილეობს თვითშეფასების პროცესში.

შენიშვნა: ზემოჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებაში დირექციას ესაჭიროება პედაგოგების დახმარება. ეს ფუნქციები მათ შესაძლოა დაეკისროთ დამატებითი შიდასასკოლო ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 5. პროცესში ჩართული მხარეები

5.1. სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანი დიზაინი იქმნება სკოლის საზოგადოების წევრებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობით. სკოლის საზოგადოების მიერ მკაფიოდ განსაზღვრული მისია, ხედვა, ღირბულებები წარმოადგენს ავთენტური სასკოლო სასკოლო კურიკულუმის შექმნის საფუძველს. სკოლის ფილოსოფია ნათლად აჩვენებს სკოლის მიზნებს, მოლოდინებსა და მისწრაფებებს.

5.2. სასკოლო კურიკულუმში ჩამოყალიბებული მოთხოვნები და შესაბამისი ცვლილბები გასაგები და მისაღები უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მათ უნდა ესმოდეთ, რა შეიცვლელბა, როგორ შეიცვალება, რატომ არის ნიშვნელოვანი ეს პროცესი და რა სარგებელს მოუტანს ეს ცვლილება სკოლას.

5.3. სკოლის საზოგადეობის ჩართულობა სასკოლო სასწავლო კურიკულუმის შემუშავებაში აუცილებელი პირობაა მისი ეფექტიანი განვითარებისათვის. სკოლის საზოგადოებას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს სასკოლო სასწავლოკურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის აუცილებლობა.

5.4. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და სკოლის საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, გამოკითხვებისა და ფოკუსირებული დისკუსიების საფუძელზე გადაიხედება სკოლის ფილოსოფია.

5.5. სასკოლო კურიკულუმის განხილვაში მონაწილეობას იღებენ სკოლის საზოგადოების წარმოამდგენლები კერძოდ: მასწავლებლები, მშობლები და დირექცია. სკოლის მთელი საქმიანობა მიმართულია მისიისა და ხედვის მიღწევისკენ. სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება შეთანხმებული ღირებულებების შესაბამისად.

5.6. სასწავლო წლის დასასრულს იმართება საერთო შეხვედრა, სადაც სკოლის ფილოსოფიის განხილვა აძლევს მასწავლებლებს საშუალებას გიაზიარონ



თავიანთი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები და დაუკავშირონ ისინი სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

5.7. სასკოლო კურიკულუმის პრინციპების შესახებ გამართული მსჯელობა და მათი გააზრება მნიშნელოვანია დაბალანსებული სასწავლო პროცესის წარსამართად. კურიკულუმის ასპექტების ადაპტირებაში ჩართულია ყველა მასწავლებელი.

5.8. თითოეულ მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს წინადადება პროექტებისა და არფორმარული განათლების სხვადასხვა ფორმების დასანერგად სკოლაში.

მუხლი 6. სასკოლო კურიკულუმის განახლებისა და შემუშავების სამუშაო შეხვედრები

კურიკულუმის განახლებისთვის/შემუშავებისთვის გამართულ შეხვედრებზე განიხილება შემდეგი საკითხები:

ა) სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების შედეგები.

ბ) მოსწავლეთა საჭიროებები და პრობლემური საკითხები.

დ) მშობელთა გამოკითხვის შედეგები

ე) მასწავლებლებისაგან მიღებული სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესების წინადადებები;

ვ) არსებული თანამედროვე ტენდენციებისა და სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებით სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) გადახედვა და განახლება;

მუხლი 7. საზოგადოების ინფორმირება და საკომუნიკაციო არხები

7.1 სასკოლო კურიკულუმის შინაარსის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვანია უკუკავშირის მისაღებად. ამ პროცესის ეფექტიანობისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) სკოლის ვებგვერდი

ბ) Google Drive საერთო სივრცე

გ) ელექტრონული ფოსტა

დ) ინტერაქტიული შეხვედრები

7.2 სასკოლო სასაწავლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მეთვაყურეობა საშულაებას იძლევა წლის დასასრულს შევიდეს ადეკვატური ცვლილებები სასკოლო სასწავლო კურიკულუმში.

მუხლი 8. ძირითადი პროცესები:

8.1. კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

8.2. **პროცესის დაწყება:** სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასკოლო სასწავლო კურიკულუმი უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“ .

8.3. **პროცესის ეტაპები:** კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია.

ა) კურიკულუმის შემუშავება

კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

- რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);
- რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;
- რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;
- რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;
- რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;

- რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

კურიკულუმის **შემუშავების პროცესი** იწყება არსებულის ანალიზით. აქტივობები ამ ფაზაში მოიცავს პრობლემის ანალიზს, კონტექსტის ანალიზს, საჭიროებების ანალიზს, და ცოდნის ბაზის ანალიზს. აქცენტი კეთდება კურიკულუმის გაუმჯობესების წინადადებების შეგროვებაზე. მნიშვნელოვანია დანერგვის ეფექტიანობის გამოვლენა.

გ) სკოლა ყოველ წელს განაახლებს სასკოლო კურიკულუმს. განახლების პროცესი ეფუძნება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემავალი საგნების კურიკულუმების წინა წლის დანერგვისა და შეფასების მასალების ანალიზს და რევიზიას.

დ) საგნობრივი კურიკულუმი აძლევს სასწავლო პროცესს გეზს, ყოფს გარკვეულ მონაკვეთებად სასწავლო მასალას, შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, რაც აიოლებს სწავლას, იწვევეს მოსწავლეთა მოტივაციას და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას მიაღწიონ შედეგებს.

ე) საგნობრივი კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო მიზნობრივი ცნებების, თემების, საკითხი/საკითხები, შუალედური მიზნების, საგანმანათლებლო რესურსების მიხედვით. მოცემული ცნება/ცნებები, თემა, საკითხი, შუალედური მიზანი, საგანმანათლებლო რესურსი, შეფასების ინდიკატორები ქმნიან ერთიან სურათს; დაგგმვის ჩარჩოში ასევე მოცემულია შემაჯამებელი დვალების ტიპი და შეფასების ინდიკატორები. საგნობრივ კურიკულუმის დაგეგმვის დროს მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გამოავლინონ შემოქმედებითობა და განსაზღვრონ დამატებითი აქტივობები და პროექტები. დააზუსტონ რომელ გრძელვადიან შედეგებთან აქვთ კავშირი და მიუთითონ მისიის შესასრულებლად რომელ უნარებზე მუშაობენ. კურიკულუმის შემუშავების პორცესი მოიცვას ჩარჩოს დიზაინის ეფექტიანობის განხილვასაც.

ვ) საგნობრივი კურიკულუმი შემუშავების დროს გაანალიზდება წინა წლის კურიკულუმი: რანდენად ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ზ) განიხილება საკითხი საგნობრივ კურიკულუმის დანერგვის დროს მასწავლებელის მიერ გამოყენებული მიდგომების ეფექტიანობის. არის თუ არა დაფუძნებული მისი საქმიანობა კონსტრუქტივისტული თეორიის ხუთ ძირითად პრინციპზე და მუშაობს თუ არა მოსწავლეებთან დეკლარაციული, პირობისეული და თვისობრივი ცოდნის აგებაზე.

თ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შექმნილი კურიკულუმის შინაარსს. საგნობრივი კურიკულუმები განიხილება აკადემიურ დირექტორთან. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს კურიკულუმში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში მასწავლებლები მიმართავენ აკადემიურ დირექტორს და განიხილავენ ცვლილების აუცილებლობას.

ი) საგნობრივი კურიკულუმების შენუშავების დროს განხილვა მიმდინარეობს საგნობრივ ჯგუფებში შემდეგი მიმართულებებით:

- საგნობრივი კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების, ხარვეზები და/ან პრობლემების აღმოფხვრის სტარტეგიების განსაზღვრა და გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავების დროს. კურიკულუმში დადებითი ტენდენციების მდგრადობის შენარჩუნება და განვითერება.
- საგანმანათლებლო რესურსების იდენტიფიცირება და განსაზღვრა საგნობრივი კურიკულუმისათვის.
- მასწავლებლების მიერ გაცნობიერებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების რეალიზების ხელშეწყობა კურიკულუმის დანერგვის დროს.
- სკოლის საზოგადოების მიერ გაცნობიერებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რეალიზდება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სასწავლო პრაქტიკაში და დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლაზე.

ბ) დანერგვა

კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა.

- სასკოლო კურიკულუმის დანერგვა მიმდინარეობს ყოვლისმომცველი (Whole School Approach) განხორციელებით. საყოველთაო მიდგომის

სტრატეგია, გულისხმობს დანერგვის პროცესებში სკოლის საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას და წარმოადგენს ერთ მთლიან და მრავალმხრივ პროცესს. ეს არის გარკვეული ტიპის პოლიტიკის გატარება სკოლაში, რომელსაც აქვს თავისი მოთხოვნები და რომელსაც იზიარებს სკოლის საზოგადოების ყველა წევრი. სასკოლო სასწავლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისი ცვლილება ხდება ყველა დონეზე და ეს განაპირობებს საყოველთაო მიდგომის პრინციპების ამოქმედებას.

- საყოველთაო მიდგომით სასკოლო სასწავლო კურიკულუმის დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის საზოგადეობაში მიღწეულ კონსენსუსს სერთო ხედვის ჩამოყალიბების დროს. საერთო ხედვაზე შეთანხმება ნიშნავს ყველა მონაწილის მიერ გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას სკოლაში.
- სკოლის საზოგადოება მუშაობს ერთ გუნდად თავს უყრის მთელ თავის გამოცდილებას, უნარ-ჩვევბსა და ძლიერ მხარეებს სასკოლო სასწავლო კურიკულუმის დასანერგად.
- სასკოლო სასწავლო კურიკულუმის მოთხოვნებზე კონცენტრირებას და შეთანხმებული სტრატეგიების გამოყენაბას სკოლის საზოგადეოება გარკვეულ წესრიგამდე მიჰყავს, რომელსაც თითოეული წევრი იცავს.
- სასკოლო სასწავლო კურიკულუმში მოცემული პრინციპებით მოქმედება ქმნის გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევაზე და სწავლის ხარისხზე. ეს მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ კოგნიტური უნარების გამომუშავებაში, არამედ ისთი უნარების გამომუშავებში, როგორიც არის პასუხისმგებლობა, დამოუკიდებელი სწავლა, საკუთარი თავის რწმენა.
- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში მასწავლებლების მიერ მუდმივად გადაიხედება საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებელთა თანამშრომლობა და ერთმანეთის მხარდაჭერა გააქტიურებულია.
- გარემო, რომელიც სასკოლო სასწავლო კურიკულუმის დანეგვით შეიქმნა ახდენს გავლენას სკოლის საზოგადეობის საქმიანობასა და კულტურაზე. აქ შედის ქცევები, ურთიერთოებები, ნორმები, რომელიც

ვითარდება სამუშაო ჯგუფებში. ასევე დომინანტურია ფასეულობები, რომელიც ასახულია სკოლის ფილოსოფიაში და მხარდაჭერილია სკოლის საზოგადეობის მიერ.

- კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის (ნანო) დონე, მასწავლებლის (მიკრო დონე), სკოლის (მეზო) დონეზე.

თითოეულ დონეზე მიმდინარე კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერა მოსწავლის (ნანო) დონეზე

კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერა მოსწავლის (ნანო) დონეზე ნიშნავს მოსწავლეების მიერ მიღებული ცოდნის ხარისხის შემოწმებას და იმის დადგენას, თუ რამდენად გაცნობიერებულია მოსწავლეების მიერ მასწავლებლის მიერ კლასში დანერგილი კურიკულუმი და მიღებულია შედეგები.

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების მიზნით აკადემიური დირექტორი და ადმინისტრაციული მენეჯერი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი შეისწავლიან მონაცემებს საკლასო ჟურნალებიდან (განმსაზღვრელი შეფასება), (შემაჯამებელი დავალებები, მათი ანალიზის ამსახველი სემსტრული ანგარიშები), განავითარებელ შეფასებებს, დახასიათებებს სწავლების დაწყებით საფეხურზე.
2. მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ ინდივიდუალური მიდგომების ეფექტურობის მიზნით შეისწავლება მოსწავლეთა საშინაო დავალებები, მათი სასწავლო მასალები (რვეულები, პოსტერები, ბუკლეტები, პრეზენტაციები და სხვა ტიპის ნამუშევრები).
3. სწავლაში მიღწეული წარმატების შეფასება და მიეწოდება მშობელს მუდმივ რეჟიმში დამრიგებლის მიერ.
4. შეფასების დროის გარკვეულ მონაკვეთად უპირატესად მოიაზრება პირველი და მეორე სემესტრების ფინალური ეტაპები (ბოლოსწინა კვირა), შესაბამისად, შეფასებას ეწოდება ფინალური ეტაპების შეფასება.
5. სწავლება-სწავლის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა გულისხმობს მოსწავლის მხარდაჭერას ინდივიდუალური მიდგომებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზების კვლევა და მათთან გამკლავება გულისხმობს როგორც კოგნიტური, ასევე, ემოციური პრობლემების დაძლევას.

6. სწავლისა და ემოციურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასებისას გამოიყენება: დაკვირვება (გაკვეთილზე, სასკოლო აქტივობაზე დასწრება), საკლასო დავალება; საშინაო დავალება, კომპლექსური დავალებები, შამაჯამებელი დავალებები. ფინალური შეფასება ტარდება ერთიანი ფორმატით.
7. არსებული მონაცემების ანალიზი იძლევა მოსწავლეების მიერ საგნობრივი კურიკულუმების ათვისების ხარისხის შეფასების საშუალებას.

კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერა მასწავლებლის (მიკრო) დონეზე

კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერა მასწავლებლის (მიკრო) დონეზე ნიშნავს მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს გამოყენებული სწავლა სწავლა -სწავლების მიდგომების, მეთოდებისა და სტრატეგიების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაანალიზდება რამდენად არის გათვალისწინებული საგნობრივ კურიკულუმში შემდეგი ფაქტორები:

1. კომპლექსური დავალებები საინტერესოდ არის წარმოდგენილი და იწვევს მოსწავლეთა მოტივაციას;
2. მოცემული აქტივობების თანმიმდევრობა ლოგიკურია და უკავშირდება ერთმანეთს; საგნობრივი კურიკულუმი ემსახურება დეკლარატიული, პირობისეული და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას;
3. დავალების მიცემის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები;
4. გაკვეთილის მსვლელობის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა დიფერენცირების სტრატეგიები;
5. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება და დიზაინი წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რომელიც მუდმივად ფასდება და გადაიხედება.
6. საგნობრივი კურიკულუმის მიმდინარეობის დროს ფასდება:
7. მოსწავლეთ საკლასო და საშინაო დავალებები;
8. მასწავლებელი მუდმივად აფასებს მოსწავლეებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ხერხებით;

9. მასწავლებელი განიხილავს თითოეული მოსწავლის შემაჯამებელ დავალებას ინდივიდუალურად;
10. ისმენს მოსწავლის თვითშეფასებას შესრულებულ სამუშაოზე და აძლევს მას რეკომენდაციებს სამომავლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
11. გამოავლენს კლასში არსებულ საერთო პრობლემას/პრობლემებს და ეძებს გზებს მათ გადასაჭრელად;
12. მოსწავლეთა პროგრესზე და მიმდინარე პოცესზე დაკვირვებითა და საკუთრი საქმიანობის რეფლექსიით იკვლევს, რამდენად ეფექტიანად ინერგება მის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი და რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს.
13. პედაგოგები ჩატარებული სამუშოების რეფლექსიით აფასებენ საგნის კურიკულუმის ეფექტურობას, მათ შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები და გააუმჯობესონ კურიკულუმი, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და გაზარდონ ინტერესი საგნის შესწავლის მიმართ. ყოველი სასაწავლო წლის ბოლოს გადაიხედება კურიკულუმი და საჭროების შემთხვევაში შედის ცვლილებები.
14. შეფასების შედეგებს აკადემიური დირექტორი განიხილავს საგნის მასწავლებელთან ერთად და იძლევა რეკომენდაციებს. მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია იქნება მეორე სემესტრის მიმდინარეობის და მომავალი წლის კურიკულუმის შედგენის დროს. საგნის მასწავლებლებთან აკადემიური დირექტორი განიხილავს მასწავლებლების მიერ დანერგილი მიგნებებსა და ინოვაციების ეფექტიანობას.

კურიკულუმის დანერგვის პროცესის აღწერა სკოლის (მეზო) დონეზე

1. საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის მეზო დონე განსაზღვრავს თითოული თანამშრომლზე პასუხიმგებლობის განაწილებას და რესურსების მობილიზებას. მეზო დონე ქმნის პირობებსა და საშუალებებს სასაკოლო კურიკულუმის ეფექტიანად დასანერგად. ინსტიტუციური სისტემის, სტრუქტურების, პროცედურების, წესებისა და მითითებების გაუმჯობესება ემსახურება კურიკულუმის ეფექტიან დანერგვას.
2. დირექციის მოვალეობაში შედის:

დაადგინოს კავშრი მასწავლებელთა პროფესული განვითარებასა და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვას შორის. გამოავლინოს დადებითი ტენდენციები და ხელი შეუწყოს მის მდგრადობას. შექმნას პოზიტიური გარემო და მოიპოვოს თანამშრომლების ნდობა, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას და სიახლეების მიმღებლობას.

3. დირექციის მიზანია მიაწოდოს სკოლის პერსონალს ინსტრუქციები სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისა და დიზაინის შესახებ, რათა მათ ეფექტიანად შეძლონ ჩაერთონ სასკოლო კურიკულუმის შექმნისა თუ გადახედვის პროცესში.
4. დირექცია ხელს უწყობს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას. ეხმარება სკოლის საზოგადოებას განაახლოს სასკოლო კურიკულუმი რომლიც წარმართავს მთელ სასწავლო პროცესს.
5. დირექცია აჩვენებს გზას, სკოლის საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც გავლენას ახდენენ სასკოლო კურიკულუმის თითოეულ ასპექტზე. ასახავს საბაზისო ჩარჩოს, და მიუთითებს, სკოლის საზოგადეობას, თუ რა, როდის და როგორ უნდა გაეკეთდეს სასკოლო კურიკულუმში ცვლილებების შესატანად.

გ) კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. სკოლა შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას მუდმივად, მეთვალყურეობასა და კონტროლს. შეფასება მოიაზრება, როგორც პერიოდული (დაგეგმილი პერიოდულობით) პროცესი, ხოლო მონიტორინგი თავისი არსით რეგულარული, უწყვეტი პროცესია. მონიტორინგის პროცესის მონაწილეა, ფაქტობრივად, სასკოლო საზოგადოება. მონიტორინგის პროცესში მიზანშეწონილია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა დაკვირვება, გამოკითხვა/ანკეტირება, ინტერვიუირება, ფოკუსჯგუფი, მონაცემების აღწერა/შეგროვება, და სხვანი.
2. მნიშნელოვანია მასწავლებლებმა გამოიყენონ ადეკვატური სასწავლო მეთოდები მიზნების მისაღწევად. შექმნიალია მასწავლებლის მხარდამჭერი მექანიზმი. ჩატარებული გაკვეთილების შეფასებას

აწარმოებს აკადემიური დირექტორი მასწავლებლთან ერთად. კოლეგები ასევე ეხმარებიან ერთმანეთს პრობლემების აღმოჩენასა და მათ დაძლევაში.

3. მონიტორინგის მასალებისა და რეკომენდაციების საფუძველზე სასკოლო სასწავლო კურიკულუმის კომპონენტებში შესაბამისი ცვლილების შესატანად წინადადებას ამზადებს აკადემიური დირექტორი. პედსაბჭოს დადგენილებით დადასტურებული ცვლილება აკადემიური წლის განმავლობაში სასკოლო სასწავლო კურიკულუმში შედის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
4. მონიტორინგს ატარებს მონიტორინგის ჯგუფი დირექტორის ხელმძღვანელობით. ჯგუფი აანალიზებს და ინახავს მოპოვებულ ინფორმაციის.
5. სასკოლო სასწავლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და სწავლა– სწავლების ხარისხის შეფასების სფეროებად განისაზღვრა:
   - სკოლის ფილოსოფია, ხედვა და ღირებულებები
   - სკოლის სასწავლო კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების სწავლა–სწავლება.
   - მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება
   - სააღმზრდელო პროცესის ეფექტურობა
   - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
   - სასწავლო პროცესის ორგანიზება და სასკოლო გარემოს ეფექტურობა.
6. სასწალო შედეგების მონიტორინგი მთელი წლის განმავლობაშ მიმდიანრეობს სასწავლო წლის დასასრულს დირექტორი მის მიერ დელეგირებული თანამშრომლებთან ერთად აწარმაოებს სასწავლო წლის შედეგების ანალიზსა და შეფასებას.

დ) გადასინჯვა და რევიზია.

- საგნობრივი კურიკულუმის რევიზიისთვის მასწავლებელს სჭირდება შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. მასწავლებლლები სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ შედეგებსა და დანერგვის დროს გამოვლენილ პრობლემებს უზიარებენ თავიანთ კოლეგებს სხვადასხავა საგნობრივ ჯგუფებში, რაც სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ნაწილია.

- წლის დასწყისში საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ და მსჯელობენ კურიკულუმის დანერგვის დროს გამოვლენილი პრობლემებისა და რისკების შესახებ.
- ხარისის უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე პირი აკონტროლობენ მასაწავლებლის საქმიანობისათვის აუცილებელ საორგანიზაციო საკითხებს და მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო დროის უდანაკარგოდ გამოყენებას. მიღებული შედეგები განიხილება რავიზიის დროს.
- საგნობრივი კურიკულუმის რევიზიის შედეგად დაგროვილი მასალა განიხილება აკადემიურ დირექტორთან. გამოვლინდება ის საკითხები, რომელებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს კურიკულუმის შემუშავების დროს.
- სასკოლო კურიკულუმის განახლება მონიტორინგისა და შეფასების მასალების ანალიზისა და რეკომენდაციების საფუძველზე სასკოლო სასწავლო კურიკულუმის კომპონენტებში შესაბამისი ცვლილების შესატანად და ახალი სასკოლო სასწავლო კურიკულუმის დასამტკიცებლალდ წინადადებას ამზადებს აკადემიური დირექტორი. პედსაბჭოს დადგენილებით დადასტურებული განახლებული სასკოლო სასწავლო კურიკულუმი მტკიცდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- სასკოლო კურიკულუმის გადეხედვა/განახლების დროს გათვალისწინებულია მისი გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით:
  - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
  - ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები
  - სწავლის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიები
  - მოსწავლეთა ინდივიდულაურ შეხვედრებზე მოგროვილი ინფორმაციის ანალიზი.
  - ადგილობრივი თემის საჭიროებები და მოთხოვნილებები
  - მასწავლებლების მიერ შემოთავაზებული პროექტები და ინოვაციები
  - მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებები და განწყობები

- სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების შედეგები.
- ზემოთჩამოთვლილ საკითხებზე დაფუძნებით და მონაცემების ანალიზისა და შეჯერებით სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს სასწავლო წლის დასასრულს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის გასავითარებლად და განსაახლებლად.

მუხლი 9. კავშირი სხვა პროცესებთან

9.1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან:

9.1.1. დამხმარე პროცესები პირობითად შეიძლება ვუწოდოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ისეთ სფეროებს როგორებიცაა: (ა) პერსონალის მართვა და განვითარება, (ბ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, (გ) ინფრასტრუქტურის განვითარება, (დ) სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, (ე) ფინანსური რესურსების მართვა, (ვ) მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება. პროცესებთან მიმართებით გადაწყვეტილებები, როგორც წესი, სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღება.

9.1.2. მმართველობით პროცესები შეიძლება ეწოდოს (ა) სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესს, (ბ) სკოლაში ხარისხის მართვის სისტემის გამართვის პროცესს. ეს პროცესები კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

9.2. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კავშირშია ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესებთანაც. მისი წყალობით გროვდება მონაცემები და გამოცდილება, რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მისი დანერგვის პროცესში.